მიტროპოლიტმა ილარიონმა ქრისტიანთა დევნის თემის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის რუსეთის სსს-ს მადლობა მოახსენა

2 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს რუსეთის სსს-ს სამკერდე ნიშანი – „ურთიერთქმედებისათვის“ გადასცა.

სატელევიზიო არხზე „რუსეთი 24“, გადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო" მეუფე ილარიონმა ტელეწამყვანის, ე. გრაჩოვას თხოვნით, ისაუბრა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის მეთაურთან თავის სამუშაო ურთიერთობებზე, დაახასითა ისინი, როგორც კეთილი, კონსტრუქციული და სანდო ურთიერდამოკიდებულება. „როდესაც საქმე ეხება ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს, სერგი ვიქტორის ძე უშუალოდ ელაპარაკება უწმინდეს პატრიარქს: ისინი პირადად ხვდებიან, განიხილავენ საერთაშორისო დღის წესრიგს. მიმდინარე საკითხებზე კი ძალიან ხშირად მე მიხდება ურთიერთობა ს. ვ. ლავროვთან ან მისი მოადგილეებთან,“ – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

მან ხაზი გაუსვა: ასეთი შეხვედრების დროს საუბარი ეხება იმას, რომ ეკლესიამ იცოდეს, თუ რა კეთდება სახელმწიფო ხაზით, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრომ - იცოდეს, თუ რა ინტერესები აქვს ეკლესიას საგარეო არენაზე. „ყოველ ჯერზე, როდესაც უცხო ქვეყნებს ვსტუმრობ, ვხვდები რუსეთის ფედერაციის ელჩებს, ვიღებ მათგან ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ცხოვრობენ მართლმადიდებელი მორწმუნენი ამა თუ იმ ქვეყანაში“, – დასძინა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ.

რუსეთის დიპლომატიური ხელმძღვანელობის მეთაურებთან ურთიერთმოქმედებების შესახებ საუბრისას მან აღნიშნა: „ჩვენ ძალიან ხშირად საერთაშორისო ვითარების ზოგად კონტექსტს განვიხილავთ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, რადგან იმისდა მიუხედავად, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, მას აქვს თავისი დღის წესრიგი და საკუთარი ინტერესები, ჩვენ ყველანი ერთსა და იმავე სამყაროში ვცხოვრობთ და არ შეგვიძლია რეაგირება არ მოვახდინოთ მიმდინარე მოვლენებზე“.

ს. ვ. ლავროვთან შეხვედრებზე, როგორც წესი, თემების ძალიან ფართო სპექტრი განიხილება, აღნიშნა მეუფე ილარიონმა. „ამ შემთხვევაში არ შეგვეძლო არ შევხებოდით ავღანეთში არსებულ ვითარებას, ასევე ვითარებას მთელს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოში ქრისტიანული მოსახლეობის სხვადასხვა სიმძიმის დევნა ხორციელდება. ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობისა იმისათვის, რომ ქრისტიანთა დევნის საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ამჟამად მუდმივად და მწვავედ ჟღერდაბა მაღალი საერთაშორისო ტრიბუნებიდან“, – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ და მადლიერება გამოხატა იმ უნიკალური ურთიერთობისათვის, რომელიც დამყარებულია რუსეთის სსს-სა და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებას შორის.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87964/